

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 90

21 მარტი 2025 წ.
13:30 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი, ნინო
ვარდოსანიძე, რაჯაზ სოხაძე, მიხეილ კაკაურიძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი - ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სერგო ბირკაძე, თათია ბარაქაძე

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი- დავით ჯაიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. (საქრ.№12-032507844-03 20/03/2025)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ. (საქრ.№15-032507937-03 20/03/2025(№11-01250791804))
3. საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის 2025 წლის 23 იანვარს გაფორმებული სასესხო შეთანხმების საფუძველზე („თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი“), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე. (საქრ.№12-032507383-03 14/03/2025)
4. ქალაქ თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრის წინ მდებარე 587 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.13.03.023.085) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი“ (ს/ნ: 204423454; უფლებამონაცვლე: შპს „ბაუსტარი მმ“ (ს/ნ: 404504639)) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2016 წლის 09 მარტის №ე-297-22-17439 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№12-032507782-03 19/03/2025)
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ. (საკრ.№12-032507845-03 20/03/2025)

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და დალი დაღვანს (პ/ნ: 01008027271), თამარ ჯამდელიანს (პ/ნ: 01008061212), ლერი ჯამდელიანს (პ/ნ: 01013012649) და ნინო ჯამდელიანს (პ/ნ: 01008042196) შორის 2024 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან დალი დაღვანის (პ/ნ: 01008027271), თამარ ჯამდელიანის (პ/ნ: 01008061212), ლერი ჯამდელიანის (პ/ნ: 01013012649) და ნინო ჯამდელიანის (პ/ნ: 01008042196) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-03250781-03 19/03/2025)

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მშენებარე ფართის (მდებარე: ქ. თბილისი, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორია, სართული 2, ბინა N3, ს/კ N01.19.19.005.225.01.01.003) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირის-ნათელა ჯავას (პ/ნ 01023002383) უფლებამონაცვლებებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ. (საკრ.№12-032507160-03 12/03/2025)

8. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩის V ჩიხის N3-ში არსებული 69.77 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრ.№12-032507848-03 20/03/2025)

9. „ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N36-ში არსებული 118.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.02.019.001.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრ.№12-032507848-03 20/03/2025)

10. ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N10 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.393.01.01.010) და ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე N20 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.019.01.01.020) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-032507846-03 20/03/2025)

11. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N64 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.154.01.01.064), ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N107 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.107) და ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N22 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-032507865-03 20/03/2025)

12. ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N42 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.393.01.01.042) და ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე N33 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.033) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-032507851-03 20/03/2025)

13. ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N24 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.024); ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე N44 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.044) და ქალაქ თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N42 ბინის (მშენებარე)

(საკადასტრო კოდი: N01.12.11.037.115.01.01.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრ.№12-032507850-03 20/03/2025)

14. ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში მდებარე N25 და N74 ბინების (მშენებარე) (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078.01.01.025; N01.12.12.002.078.01.01.074) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონი; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაჟისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე N172 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.016.011.01.05.172) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-032507867-03 19/03/2025)

15. ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში მდებარე N44 ბინის (მშენებარე) და N93 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078.01.01.044; N01.12.12.002.078.01.01.093) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაჟისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე N216 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.016.011.01.01.216) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-032507847-03 19/03/2025)

16. ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N21-ში მდებარე N55 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.049.01.01.055) ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევის N2/ ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N4 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.10.020.214.01.01.004) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. N15-ში მდებარე N71 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.158.01.01.071) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-032507849-03 20/03/2025)

17. ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქ. N47-ში მდებარე N94ა და N102 ბინების (საკადასტრო კოდები: N01.12.20.030.027.01.04.094ა; N01.12.20.030.027.01.01.102), ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე N99 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.099) და ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. N23ა-ში მდებარე N3 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.407.01.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032507868-03 20/03/2025

18. ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.015) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032506918-03 10/03/2025

19. ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) 25 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თამარ მანჯავიძისთვის (პ/ნ: 01001000702) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032506917-03 10/03/2025

20. ქალაქ თბილისში, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N4ა-ში არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.07.010.034) პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევანი გველესიანისთვის (პ/ნ: 01008004450) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032507137-03 12/03/2025

21. ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N32-ის მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.016) პირდაპირი განკარგვის წესით, ინა ტიელიძისთვის (პ/ნ: 01014003661) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032506917-03 10/03/2025

22. ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.004.047) 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საცხობი 2025“-სთვის (ს/ნ: 405746064) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032506917-03 10/03/2025

23. ქალაქ თბილისში, ბახტრიონის ქ. N28, კორპუსი N3-ის მიმდებარედ არსებული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.007.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალმონდ ბეიქერი 1995“-ისთვის (ს/ნ: 211344776) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032507136-03 12/03/2025
24. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრ.№12-032507253-03 14/03/2025
25. „ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.512) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრ.№12-032507253-03 14/03/2025
26. ქ. თბილისში, ჯაბაურის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.04.028.069) პირდაპირი განკარგვის წესით, თამარი ერაძისთვის (პ/ნ: 01034001668) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032507866-03 20/03/2025
27. ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.017.032) პირდაპირი განკარგვის წესით, ალექსანდრე გოგინაშვილისთვის (პ/ნ: 01030015092) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032507866-03 20/03/2025
28. ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N14-ის მიმდებარედ არსებული 2469 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.10.14.009.033) 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მარსოჯორჯია 2018“-სთვის (ს/ნ: 404555110) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032507866-03 20/03/2025

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

მომხსენებელი- ლევან მიქავა

ლევან მიქავას მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N52 – 11 დადგენილების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-102 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N52 – 12 დადგენილების მიღებით, რომლის თანახმად მერიის სტრუქტურულ ერთეულებში და მთაწმინდის რაიონის გამგებობაში შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა ჯამურად 19 ერთეულით, მათ შორის მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) პროგრამის ფარგლებში შემცირდა მომუშავეთა რიცხოვნობა 5 ერთეულით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის (კოდი 10 04) პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა - 2 ერთეულით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის (კოდი 10 10) პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა - 4 ერთეულით, მთაწმინდის რაიონის (კოდი 10 36) პროგრამის

ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა - 2 ერთეულით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა - 3 ერთეულით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის (კოდი 10 44) პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა - 3 ერთეულით. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული სამტაბო ნუსხის გათვალისწინებით, მცირდება საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობის (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობა 5 ერთეულით. გარდა ამისა, დაგეგმილია შპს თბილისერვის ჯგუფის ობიექტების დაცვის ფუნქციის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურში გადმოტანა, შესაბამისად იზრდება უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის (კოდი 10 13) პროგრამის ფარგლებში შტატით განსაზღვრულ მომუშავეთა რიცხოვნობა 12 ერთეულით, ხოლო ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისთვის დაქვემდებარებული თავშესაფრის, სოციალური საცხოვრისების და უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი ბინების შიდა სარემონტო სამუშაოების ინფრასტრუქტურის ეფექტურად მართვის მიზნით, იზრდება თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობის (კოდი 06 02 21) ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა 4 ერთეულით. ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში შემცირდა 8 ერთეულით და განისაზღვრა 4963 ერთეულით

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე" საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

მომხსენებელი- ლევან მიქავა.

ლევან მიქავას მოხსენებით, სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, მიზანშეწონილად მიაჩნია ჟორდანია-სანაპიროს და ხეთაგუროვის ქუჩის კვეთაზე მოეწყოს სატრანსპორტო კვანძი, უსაფრთხოების კუნძულებით ქვეითთა გადასასვლელებით, შექნიშნის ობიექტითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს პროგრამაში გზების მშენებლობა და აღდგენა (პროგ/კოდი 01.01.01) 1 200 000 ლარის დამატება არაფინანსური აქტივების ზრდაში. შესაბამისად 1200 000 ლარით მცირდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მიწესრიგების ღონისძიებები (პროგ/კოდი 01 02 01) წლიური გეგმა.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი ქვეპროგრამის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარების დაფიქსირებით გამოწვეული საჭიროებიდან გამომდინარე, იზრდება "სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები" ქვეპროგრამის (კოდი 06 02 09), პირველი კვარტლის ბიუჯეტი 100 000 ლარით, ამავე ქვეპროგრამის მე-4 კვარტლის ბიუჯეტის იგივე თანხით შემცირების ხარჯზე.

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად კონტრაქტორი კომპანიების მიერ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, „გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში“ (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული პერიოდის რესურსი საკმარისი არ არის მოსალოდნელი შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად, რის გამოც ესაჭიროებათ „გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში“ (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის პერიოდის რესურსი გაზრდა 250 000.00 ლარით, მე-4 კვარტლის რესურსის იგივე ოდენობით შემცირების ხარჯზე.

სამგორის რაიონის რაიონის ტერიტორიაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით (05 01 15) გათვალისწინებული პროექტების ფარგლებში, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2024 წლის 28 დეკემბრის N49-97 დადგენილებით გამოყოფილი თანხები I კვარტალში ვერ სრულდება, ვინაიდან შეფერხდა თებერვლის თვეში უამინდობის გამო საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია. გარდა ამისა, პროგრამული კოდი (სამგორის რაიონის გამგეობა) შენობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დაწყება ობიექტური პირობების გამო ვერ მოხერხდა პირველ კვარტალში, ხოლო პროგრამული კოდით 06 02 16 14 (დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში) I კვარტალში გეგმით გასაცემია 740960 ლარი მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით პერიოდის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა ლარი, რის გამოც საჭიროა კვარტალური ცვლილებების გატარება კერძოდ, (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში შემცირდეს I კვარტალში 150000 ლარით (მიმდინარე ტრანსფერი) და გაიზარდოს II კვარტალში ამავე თანხით; პროგრამული კოდით 10.34 (სამგორის რაიონის გამგეობა) შემცირდეს არაფინანსური(ძირითადი) აქტივი I კვარტალში 156300 ლარით და გაიზარდოს III კვარტალში 156300 ლარით, ხოლო (დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში) IV კვარტალი შემცირდეს 121420 ლარით და გაიზარდოს I კვარტალის გეგმა ამავე თანხით.

საერთო ჯამში გადასახდელების პირველი კვარტლის გეგმა მცირდება 28 850 ლარით, იზრდება მეორე და მესამე კვარტლის გეგმა შესაბამისად 378860 და 136 300 ლარით და მცირდება მეოთხე კვარტლის გეგმა 486310 ლარით. დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური და რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის 2025 წლის 23 იანვარს გაფორმებული სასესხო შეთანხმების საფუძველზე („თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი“), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე.

დავით ჯაიანის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას თანხმობა ეძლევა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის 2025 წლის 23 იანვარს გაფორმებული სასესხო შეთანხმების საფუძველზე („თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი“), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე, წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

აღნიშნული გამომდინარეობს იქედან, რომ საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის 2025 წლის 23 იანვარს გაფორმდა სასესხო შეთანხმება 125 000 000 (ასოცდახუთ მილიონ) ევროზე. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მეორეს მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და მესამეს მხრივ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ დებენ ქვესასესხო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებულ თანხას 125 000 000 ევროს, სესხის სახით (შემდგომში - ქვესესხი) სასესხო შეთანხმებითა და საპროექტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად. თავის მხრივ თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სესხის ხელმისაწვდომობას კომპანიისთვის.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა: საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის 2025 წლის 23 იანვარს გაფორმებული სასესხო შეთანხმების საფუძველზე („თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი“), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე, **საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრის წინ მდებარე 587 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.13.03.023.085) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი“ (ს/ნ: 204423454; უფლებამონაცვლე: შპს „ბაუსტარი მმ“ (ს/ნ: 404504639)) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2016 წლის 09 მარტის № 297-22-17439 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი“ (უფლებამონაცვლე: შპს „ბაუსტარი მმ“); შორის, 2016 წლის 09 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონის წესით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრის წინ (ახალი

მისამართი: ქ. თბილისი, ევგენი მიქელაძის №9ა) მდებარე 587 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.13.03.023.085). ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი სააუქციონო პირობით: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე; მშენებლობის უფლების გარეშე; 01.13.03.023.040 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელი გზის უზრუნველყოფის პირობით.

კომპანიის მიერ, № 01.13.03.023.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონება მიმდებარე საკადასტრო ერთეულებთან (ს/კ: 01.13.03.023.086, 01.13.03.023.087 და 01.13.03.023.088) გაერთიანების შედეგად ფორმირდა №01.13.03.023.089 საკადასტრო ერთეულად. შესაბამისად, მყიდველის მიერ სააგენტოსთვის შესაბამისი მიმართვის საფუძველზე, სააგენტომ 2025 წლის 23 იანვარს გამოსცა ბრძანება „სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საფეხბურთო კლუბ ღინამო თბილისს“ (უფლებამონაცვლე: შპს „ბაუსტარი მმ“) შორის 2016 წლის 09 მარტს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების დადასტურების თაობაზე“ რომლის საფუძველზეც დადასტურდა სააუქციონო პირობის - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე - შესრულება და მოიხსნა ქონებაზე რეგისტრირებული აღნიშნული პირობა.

მყიდველმა 2025 წლის 23 იანვრის განცხადებებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონების ნაწილზე (190 კვ.მ - კომპანიის მიერ წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) არსებული შეზღუდვის („მშენებლობის უფლების გარეშე“) გაუქმება. კომპანია აღნიშნავს რომ, მოთხოვნის საჭიროება გამოიწვია პროექტის იერსახის გაუმჯობესების მიზანმა. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შენობა დაიწვეს წითელი ხაზიდან 4 მეტრით უკან, რაც ცენტრალური გზის გასწვრივ შექმნის დიდ სივრცეს.

მყიდველის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქონებაზე არსებული „მშენებლობის უფლების გარეშე“ პირობის გაუქმება.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 თებერვლის დასკვნის შესაბამისად, ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (119 748 (ას ცხრამეტი ათას შვიდას ორმოცდარვა) ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის „მშენებლობის უფლების გარეშე“ შეზღუდვისაგან ნაწილობრივ (190 კვ.მ - წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) თავისუფალ მდგომარეობაში ღირებულებებს შორის სხვაობა აუქციონის თარიღისათვის (2016 წ.) შეადგენდა 16 625 (თექვსმეტი ათას ექვსას ოცდახუთი) ლარს, რაც დასკვნის მომზადების თარიღისათვის (27.02.2025 წ.) შეადგენს **25 580 (ოცდახუთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარს.**

მყიდველმა განაცხადა თანხმობა ქონების ნაწილზე (190 კვ.მ. - წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) „მშენებლობის უფლების გარეშე“ პირობის გაუქმების შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე.

აღნიშნული ცვლილება ხორციელდება იმ პირობით, რომ სააგენტოსა და მყიდველს შორის შესაბამისი შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთ) თვის ვადაში მყიდველი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 25 580 (ოცდახუთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარის გადახდას.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრის წინ მდებარე 587 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.13.03.023.085) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საფეხბურთო კლუბი ღინამო თბილისს“ (ს/ნ: 204423454; უფლებამონაცვლე: შპს „ბაუსტარი მმ“ (ს/ნ: 404504639)) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2016 წლის

09 მარტის №9-297-22-17439 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, **საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ჰორვატის“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული შპს „ჰორვატისისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ.

სურგო ბირკაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის N21.93.107; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის N21.322.362 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N57; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის N103 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული შპს „ჰორვატისისათვის“ (ს/კ: 405349154) - ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ N01.14.01.008.045 საკადასტრო კოდით (დღეის მდგომარეობით - ს/კ: N01.14.01.008.092; ს/კ: N01.14.01.008.093; ს/კ: N01.14.01.008.094; ს/კ: N01.14.01.008.095; ს/კ: N01.14.01.008.096; ს/კ: N01.14.01.008.097 და ს/კ: N01.14.01.008.098) რეგისტრირებული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

2023 წლის 2 თებერვალს სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შპს „ჰორვატისის“ და კომპანიის - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“, ერთობლივი განცხადება, რომლითაც დგინდებოდა, რომ მათ შორის გაფორმდა მემორანდუმი. კომპანია მზად იყო ეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად და კეთილსინდისიერად განეხორციელებინა მათი შესრულება. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მხარედ შპს „ჰორვატისის“, ნაცვლად განისაზღვრა შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ და მასზე სრულად გავრცელდა ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი უფლებები და ვალდებულებები, გარდა ამისა, **შეიცვალა ლოტების დასრულების ვადები. კერძოდ, I ლოტის მშენებლობა უნდა დასრულდებულიყო 2025 წლის 31 მარტამდე, II ლოტის - არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა, III ლოტის - არაუგვიანეს 2027 წლის 31 მარტისა, ხოლო IV ლოტის - არაუგვიანეს 2028 წლის 31 მარტამდე.**

ვინაიდან კომპანიამ - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ წარმოადგინა 2025 წლის 7 მარტს განცხადებები, რომლითაც მოთხოვნილია მშენებლობის დასრულების I ლოტით განსაზღვრული ვადის გახანგრძლივება **არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა.**

განმცხადებლის განმარტებით, კალენდარულ გეგმაში ცვლილება განაპირობა მითითებულ მიწის ნაკვეთზე ქვაბულის დამუშავები პროცესში გამოვლენილმა რიგმა შემაფერხებელმა გარემოებებმა. გარდა ამისა, განცხადებებში მითითებულია ის გარემოებები, რომ I ლოტში - N01.14.01.008.096 საკადასტრო ერთეულში აშენებულია 9 სართული და

მითითებული პროექტით დასაკმაყოფილებელ პირთათვის გადასაცემი უძრავი ქონება (ბინები) უკვე ფაქტობრივად არსებობს, ხოლო N01.14.01.008.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სართულების მშენებლობა დასრულებულ მდგომარეობაშია. შესაბამისად, მითითებული ვადის ცვლილების შემთხვევაში კომპანია მზაობას გამოთქვამს მათსა და პროექტით დაკმაყოფილებულ პირებს შორის შეთანხმებით I ლოტში ამხანაგობა „ძოწი“-ს წევრებისთვის გადაცემულ ბინები ფაქტობრივ მდგომარეობაში (34 ბინა) გადასცეს არა ე.წ „თეთრი კარკასის“, არამედ დაახლოებით ე.წ „მწვანე კარკასის“ მდგომარეობაში“. ამასთან, ამხანაგობა „ძოწის“ მიერ განცხადებით წარმოდგენილია თანხმობა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამხანაგობა აცხადებს თანხმობას ვადის გაგრძელებაზე, ხოლო კომპანია და ამხანაგობა აცხადებენ რომ მომავალში ამხანაგობის წევრებს გადასცემს მათ შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, გაუმჯობესებულ ქონებას იმ მდგომარეობაში რაც მითითებული აქვთ განცხადებ(ებ)ში. წარმოდგენილი პროექტით, ხდება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის I ლოტით გათვალისწინებული ვადა **ნაცვლად 2025 წლის 31 მარტისა განისაზღვრება 2025 წლის 31 დეკემბრით.**

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა:„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“, **საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და დალი დადვანს (პ/ნ: 01008027271), თამარ ჯამდელიანს (პ/ნ: 01008061212), ლერი ჯამდელიანს (პ/ნ: 01013012649) და ნინო ჯამდელიანს (პ/ნ: 01008042196) შორის 2024 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან დალი დადვანის (პ/ნ: 01008027271), თამარ ჯამდელიანის (პ/ნ: 01008061212), ლერი ჯამდელიანის (პ/ნ: 01013012649) და ნინო ჯამდელიანის (პ/ნ: 01008042196) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და დალი დადვანს , თამარ ჯამდელიანს, ლერი ჯამდელიანს და ნინო ჯამდელიანს, შორის 2024 წლის 23 დეკემბერს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება .

ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებები მდებარე: ქ. თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქ. №2ა-ში, მე-13 სართულზე მდებარე 84.5 კვ.მ ფართობის №115 ბინა (ს/კ 01.10.06.006.287.01.01.115); ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქ. №22, №24-ში მე-10 სართულზე მდებარე 50.4 კვ.მ ფართობის №121 ბინა (ს/კ: 01.72.14.035.963.01.01.121).

ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენი ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩა №5-ში, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკი, მე-9 სართულზე მდებარე 87 კვ.მ ფართობის №62 ბინაზე (ს/კ: 01.14.14.003.143.01.062) არსებულ საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარს ამბობს და აღნიშნულ უფლებას უსასყიდლოდ უთმობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს (პუნქტი 2.1.). ხოლო ხელშეკრულების 2.2 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენი არაუგვიანეს 2025 წლის 13 იანვრისა (უქმე დღეების გათვალისწინებით), სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უზრუნველყოფს ზემოხსენებულ ქონებაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციას, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, არასწორად დადგენილი ხარვეზის გამო, ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება (არაუგვიანეს 13.01.2025 წლისა (უქმე დღეების გათვალისწინებით), ს/კ: 01.14.14.003.143.01.062 რეგისტრირებულ ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში) ნაცვლად 2025 წლის 13 იანვრისა, შესრულდა ვალის დარღვევით - 2025 წლის 31 იანვარს, შესაბამისად ხელშეკრულების 6.2 პუნქტის საფუძველზე დაეკისრა პირგასამტეხლო 100 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან (14.01.2025 წ.) ვალდებულების შესრულებამდე (31.01.2025 წ.), რაც **ჯამში შეადგენს 1 800 (ათას რვაას) ლარს**. წარმოდგენილი პროექტით ხდება პირგასამტეხლოს (1800 ლარი) გადახდისაგან განთავისუფლება.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და დალი დადვანს (პ/ნ: 01008027271), თამარ ჯამდელიანს (პ/ნ: 01008061212), ლერი ჯამდელანს (პ/ნ: 01013012649) და ნინო ჯამდელიანს (პ/ნ: 01008042196) შორის 2024 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან დალი დადვანის (პ/ნ: 01008027271), თამარ ჯამდელიანის (პ/ნ: 01008061212), ლერი ჯამდელანის (პ/ნ: 01013012649) და ნინო ჯამდელიანის (პ/ნ: 01008042196) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე, **საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მშენებარე ფართის (მდებარე: ქ. თბილისი, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორია, სართული 2, ბინა N3, ს/კ N01.19.19.005.225.01.01.003) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირის-ნათელა ჯავას (პ/ნ 01023002383) უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 იანვრის N23.30.45 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის N19 განკარგულებებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 5397 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის / მათი

უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს ჯიერ ქონსტრაქშენისთვის“ (დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა ვარკეთილი“ - ს/ნ: 405581375) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.

მითითებული განკარგულებების საფუძველზე, 2023 წლის 9 მარტს გაფორმდა „ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულება, სააგენტოს, კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას შორის, რითაც კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. ამასთან, ზემოაღნიშნული განკარგულებების გამოცემის შემდგომ მითითებული ხელშეკრულების ხელმოწერამდე გარდაიცვალა ხელშეკრულების დანართის N1-ით განსაზღვრული პირი ნათელა ჯავა და გამოცემული განკარგულებები მის ნაწილში მიჩნეულ იქნა ძალადაკარგულად მისი გამოცემის დღიდან.

წარმოდგენილი პროექტით, N649 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის - ნათელა ჯავასთვის (პ/ნ 01023002383) გადასაცემი ფართი, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, გადაეცემა მის მემკვიდრეებს.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა:ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მშენებარე ფართის (მდებარე: ქ. თბილისი, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორია, სართული 2, ბინა N3, ს/კ N01.19.19.005.225.01.01.003) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირის-ნათელა ჯავას (პ/ნ 01023002383) უფლებამონაცვლებებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ, **საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩის V ჩიხის N3-ში არსებული 69.77 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩა, ჩიხი V, N3, სართული 2-ზე არსებული 69.77 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დგინდება, რომ აღნიშნული პირი დაახლოებით 30 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩის V ჩიხის N3-ში არსებული 69.77 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N36-ში არსებული 118.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.02.019.001.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N36, ბინა N8-ში არსებული 118.30 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.02.019.001.01.008) საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დგინდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად ცხოვრობს მითითებულ მისამართზეკორპუსის აშენების დღიდან.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N36-ში არსებული 118.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.02.019.001.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, **საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N10 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.393.01.01.010) და ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე N20 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.019.01.01.020) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, წარმოდგენილი საკითხი არის ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-სა და N5დ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელ მშენებლობით, მოუგვარებელი პრობლემა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 105.6 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.003.143.01.056) მესაკუთრეებმა - ციალა ჩხაიძემ და ირაკლი ქარჩავამ და აღნიშნული ფართის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N10 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.393.01.01.010) და ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე N20 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.02.020.019.01.01.020) თანასაკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნული პირების თანასაკუთრებაში არსებული 105.6 კვ.მ. ფართის (ს/კ: (ს/კ: N01.14.14.003.143.01.056) საბაზრო ღირებულება შეადგენს 412156.8 (ოთხას თორმეტი ათას ას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს; სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების: N01.14.05.008.393.01.01.010 და N01.12.02.020.019.01.01.020 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები, განისაზღვრა შესაბამისად - 275042 (ორას სამოცდათხუთმეტი ათას ორმოცდაორი) ლარის და 136712 (ას ოცდათექვსმეტი ათას შვიდას თორმეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 411754 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად თანასაკუთრებაში გადაცემას და მათ ფართზე მათი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა:ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N10 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.393.01.01.010) და ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე N20 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.019.01.01.020) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, **საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N64 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.154.01.01.064), ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N107 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.107) და ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N22 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, წარმოდგენილი საკითხი არის ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-სა და N5დ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელ მშენებლობით, მოუგვარებელი პრობლემა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 139.20 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.02.009) თანამესაკუთრებმა: ზურაბ მაისურაძემ, თორნიკე მაისურაძემ, მარიამ მაისურაძემ, მზეონა მაისურაძემ, ქეთევან მაისურაძემ და აღნიშნული ფართის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N64 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.064), ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N107 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.12.003.170.01.01.107) და ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N22 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.394.01.01.022) თანასაკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნული პირების თანასაკუთრებაში არსებული 139.2 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.02.009) საბაზრო ღირებულება შეადგენს 543297.6 (ხუთას ორმოცდასამი ათას ორას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს; სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების: N01.14.05.008.154.01.01.064, N01.17.12.003.170.01.01.107 და N01.14.05.008.394.01.01.022 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები, განისაზღვრა შესაბამისად - 187294 (ას ოთხმოცდაშვიდი ათას ორას ოთხმოცდათორმეტი) ლარის, 94180 (ოთხმოცდათორმეტი ათას ას ოთხმოცი) ლარის, 261261 (ორას სამოცდაერთი ათას ორას სამოცდაერთი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 542735 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად თანასაკუთრებაში გადაცემას და მათ ფართზე მათი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

